ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №43497

ნომერი: AR110510

თარიღი : 24.01.2012

გაცემის თარიღი : 07.02.2012

გაცნობის თარიღი : 07.02.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 78-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 002/007) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 78 , მიმდებარედ (ნაკვეთი 02/010);

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "კოლეგიუმი" კოდი: 204909956

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისის #627 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

სამსახურის მიერ 2009 წლის 03 ივლისს დამტკიცდა #627 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ქ. #78-ის მიმდებარე #002/007 ნაკვეთზე სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად.

2012 წლის 24 იანვარს #AR110510 განცხადებით მომართა მოქალაქე თამაზ მურვანიძემ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა, კერძოდ: საკადასტრო კოდის, საპროექტო ტერიტორიის ფართის შეცვლა და საკადასტრო გეგმის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 03.07.2009 წ. #627 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაცემულია #01.14.03.002.007 საკადასტრო ერთეულზე. საპროექტო ტერიტორიის ფართი საკადასტრო გეგმისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით შეადგენდა 70 მ2-ს. ამასთან, მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულია შპს „სტატუსი“-ს დირექტორის ირაკლი ბოჭორიშვილის სახელზე, აქედან გამომდინარე მოქალაქე თამაზ მურვანიძის 2012 წლის 24 იანვარს #AR110510 განცხადებას სამსახურის მიერ დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა წარმოედგინა შპს „სტატუსი“-ს დირექტორის ირაკლი ბოჭორიშვილის თანხმობა, რომელიც შევსებული იქნა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმადაც მოხდა ორი საკადასტრო ერთეულის (#01.14.03.002.007 და #01.14.03.002.010) გაერთიანება, რამაც გამოიწვია მიწის ნაკვეთის ფართის გაზრდა და საკადასტრო კოდის ცვლილება (მიენიჭა #01.14.03.002.012 კოდი, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართმა შეადგინა 73.00 მ2).

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტაციის პროექტების შემუშავებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად,

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე თამაზ მურვანიძის 2012 წლის 24 იანვრის #AR110510 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისს დამტკიცებულ #627 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: ა) მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს #01.14.03.002.012; ბ) დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი საკადასტრო გეგმა მიწის ნაკვეთის ფართით 73.00 მ2 და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი #01.14.03.002.012 განაცხადის რეგისტრაციის #882012020005 17.01.2012);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 03 ივლისს დამტკიცებულ #627 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.